საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

კაჭარავა ანატოლი ალექსანდრეს ძე

ა. კაჭარავა

კაჭარავა ანატოლი ალექსანდრეს ძე (15. VIII. 1910, სოხუმი, – 8. V. 1982, ბათუმი), მეზღვაური, შორეული ნაოსნობის კაპიტანი. 1927 მუშაობა დაიწყო შავი ზღვის სანაოსნოში შტურმანად. დაამთავრა ხერსონის (1930), შემდეგ – ვლადივოსტოკის (1933) საზღვაო სასწავლებელი, 1960 – ლენინგრადის საზღვაო ინ-ტი გემთმართვის ინჟინრის სპეციალობით. 1940–41 იყო ყინულმჭრელი გემების („სადკო", „პოლარული ვარსკვლავი", „ვასილი მოლოკოვი") კაპიტანი, კ. დიქსონის პორტის მთ. კაპიტანი, 1941–42 – ყინულმჭრელი გემის „ალექსანდრე სიბირიაკოვის" კაპიტანი.

1942 წ. 8 აგვისტოს მსუბუქად შეიარაღებულ ყინულმჭრელ „ალექსანდრე სიბირიაკოვს", რ-საც კარის ზღვაში პოლარულ სადგურზე გადაჰქონდა საწვავის მარაგი, ტვირთი და გადაჰყავდა ეკიპაჟის რამდენიმე წევრი. თავს დაესხა გერმანული მძიმე ჯავშნოსანი კრეისერი „ადმირალი შეერი". კ. არ დაემორჩილა მტრის მოთხოვნას და მისი ბრძანებით ეკიპაჟმა ყინულმჭრელი ჩაძირა. მძიმედ დაჭრილი კაპიტანი გერმანელებმა სხვებთან ერთად ტყვედ აიყვანეს (100-ზე მეტი ეკიპაჟის წევრისა და სამოქალაქო პირიდან გადარჩა მხოლოდ 19). საკონცენტრაციო ბანაკიდან კ. 1945 მარტში გაათავისუფლეს.

1945-იდან კ. დაუბრუნდა თავის საქმიანობას – ლენინგრადსა და მურმანსკში იყო ყინულმჭრელი გემების („ილია მურომეცი", „ლევანევსკი") კაპიტანი, სატრანპორტო ფლოტის კაპიტან-დამრიგებელი მურმანსკში. 1960-იდან მუშაობდა ბათუმში. მისი

ძალისხმევით დაარსდა საქართველოს საზღვაო სანაოსნოს სამმართველო (1967), რ-საც სიცოცხლის ბოლომდე ხელმძღვანელობდა. ეწეოდა პედ. საქმიანობას, იყო ბათუმის სანაოსნოს კაპიტან-დამრიგებელი.

მიღებული აქვს მთავრობის ჯილდოები, მ. შ. ლენინის ორდენი (1971). კ-ს სახელი ეწოდა იუგოსლავიაში საგანგებო შეკვეთით აგებულ (1984) ტანკერს.

ლიტ.: Б е л о в М. И., Оборона порта Диксон в августе 1942 года, «Проблемы Арктики и Антарктики», 1963, вып. 13.

თ. არსენაძე